

პანდემიური (H1N1) 2009 - განახლება 75

2009 წლის 20 ნოემბრისთვის პანდემიური (H1N1) გრიპის
ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევები

ჯანმოს რეგიონული ოფისები	შემთხვევა	გარდაცვალება
აფრიკა (AFRO)	14950	103
ამერიკა (AMRO)	190765	4806
აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი (EMRO)	28751	188
ევროპა (EURO)	>79000	მინიმუმ 350
სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (SEARO)	45844	710
დასავლეთ წყნარი ოკეანის რეგიონი (WPRO)	166750	613
სულ	>526060	მინიმუმ 6770

ბევრმა ქვეყანამ შეწყვიტა პანდემიური გრიპის (ძირითადად საშუალო სიმძიმის) ინდივიდუალური შემთხვევების აღრიცხვა; აქედან გამომდინარე დაავადებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება აღნიშნულ მონაცემებს. რეგიონული ოფისებიდან, წვერი სახელმწიფოებიდან და სხვა წყაროებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ჯანმო აგრძელებს პანდემიის მიმდინარეობაზე აქტიურ მონიტორინგს.

გრიპის ზამთრის სეზონმა, რომელიც ჩვეულებრივზე უფრო ადრე დაიწყო, მოიცვა ჩრდილო ჰემისფეროს უმეტესი ნაწილი, პიკს მიაღწია ჩრდილო ამერიკის ტერიტორიაზე, ინტენსიურად ვრცელდება კანადაში აქტიურობის გამოსატყუი პიკის გარეშე.

ევროპაში, პანდემიური გრიპის ვირუსის გავრცელება დაფიქსირებულია კონტინენტის უმეტეს ნაწილში, ვირუსის ინტენსიური ცირკულაცია აღინიშნება ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში. გავრცელებამ პიკს მიაღწია დასავლეთ ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში, მათ შორის, ისლანდია, ირლანდია, გაერთიანებული სამეფო (ჩრდ. ირლანდია) და ბელგია. რამოდენიმე ქვეყანამ დააფიქსირა გრიპისმაგვარი დაავადების (სერბეთი, მოლდოვა, ნორვეგია, ლიტვა, საქართველო) ან მწვავე რესპირატორული ინფექციის (ბელარუსი, ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა) სწრაფი მატება. საშუალო ან დიდი ზემოქმედება ჯანდაცვის სისტემებზე აღინიშნა ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში. სენტინელური რესპირატორული ნიმუშების 20%-ზე მეტმა აჩვენა გრიპზე დადებითი პასუხი სულ მცირე 20 ქვეყანაში, ნიმუშების $\geq 50\%$ აჩვენა გრიპზე დადებითი პასუხი ესპანეთში, პორტუგალიაში, ესტონეთში,

სლოვენიაში, სლოვაკეთში, მოლდოვაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, საბერძნეთში, ნორვეგიაში, ფინეთში, დანიაში, ბელგიაში, ისლანდიასა და ირლანდიაში. ევროპაში სუბტიპირებული A გრიპის ვირუსის 99%-ზე მეტი იყო პანდემიური H1N1 2009.

დასავლეთ და ცენტრალურ აზიაში პანდემიური (H1N1) 2009 ვირუსული ინფექციის მომატებული აქტივობა აღინიშნება რამდენიმე ქვეყანაში. ყაზახეთში შეინიშნება გრიპისმაგვარი დაავადების მკვეთრი აქტიურობა. გრიპისმაგვარი დაავადების და მწვავე რესპირატორული ინფექციის ზრდა აღინიშნა უზბეკეთსა და ავღანეთის ნაწილში (განსაკუთრებით დედაქალაქში და სამხრეთ და ჩრდილოეთ პროვინციებში). ისრაელში უკანასკნელ კვირებში აღინიშნა გრიპისმაგვარი დაავადების და პანდემიური ვირუსის გამოვლენის სწრაფი ზრდა.

აღმოსავლეთ აზიაში გრიპის ძალიან მაღალი აქტიურობა შეინიშნება მონღოლეთში და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ჯანდაცვის სისტემაზე. იაპონიაში, გრიპის აქტივობა გაიზარდა, მაგრამ შედარებით მცირდება ქალაქებში. სეზონური H3N2 და H1N1 გრიპის ვირუსის შემთხვევების მცირე რაოდენობა აგრძელებს გამოვლენას ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, თუმცა სეზონური გრიპის ვირუსის პროპორცია პანდემიურ ვირუსთან მიმართებაში კლებულობს.

ამერიკის და აზიის ტროპიკულ ზონაში გრიპის გავრცელების ინტენსივობა ცვალებადია. ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ არეალებში მდებარე ქვეყნები, პერუს და კოლუმბიის გამოკვლებით, აგრძელებენ გრიპის აქტივობის დაქვეითების შესახებ შეტყობინებას. კარიბის ეპიდემიოლოგიის ცენტრის ქვეყნებში (CAREC), დაავადების აქტივობის პიკის შემდეგ, ბოლო 3-4 კვირის განმავლობაში, მწვავე რესპირატორული ინფექციების რიცხვი შემცირდა. შრი-ლანკას გამოკვლებით, გავრცელება მცირდება სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის უმეტეს ნაწილში.

სამხრეთ ჰემისფეროს ზომიერ რეგიონში პანდემიური გრიპის მცირე აქტივობა აღინიშნა.